ინფრასტრუქტურის სამინისტრო

ალ. ყაზბეგის გამზ. N12
0160, თბილისი, საქართველო
+995 32 277 90 90
Letters@moi.gov.ge

21/05/2026

MOI N 01/1098

საქართველოს პარლამენტის წევრს
ქალბატონ სოფიო ხორგუანს

ქალბატონო სოფიო,

თქვენი 2026 წლის 7 მაისის წერილის (სამინისტროში რეგისტრაციის №1414/01; 07.05.2026) პასუხად, რომელიც შეეხება ქალაქ რუსთავის მიმდებარე ტერიტორიაზე საუნივერსიტეტო ქალაქის მშენებლობასთან დაკავშირებულ საკითხს, გაცნობებთ, რომ „სსიპ – საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის მიერ განსახორციელებელი ღონისძიებების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2025 წლის 1 დეკემბრის №1993 განკარგულების (შემდგომში - №1993 განკარგულება) საფუძველზე, სსიპ – საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდს (შემდგომში – ფონდი) დაევალა ქალაქ რუსთავში, საუნივერსიტეტო ქალაქის მშენებლობისთვის საჭირო დეტალური საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო (მათ შორის, ქალაქმშენებლობითი) დოკუმენტაციის მოსამზადებლად მომსახურების, შესაბამისი სამშენებლო სამუშაოებისა და მასთან დაკავშირებული საზედამხედველო მომსახურების შესყიდვა. ამასთან, №1993 განკარგულებით გათვალისწინებული პროექტი განისაზღვრა განსაკუთრებული სახელმწიფოებრივი მნიშვნელობისა და საზოგადოებრივი საჭიროებისათვის აუცილებელ პროექტად.

ზემოაღნიშნული ღონისძიებებისათვის აუცილებელი ქმედებების განხორციელების მიზნით, ფონდის მიმართვის საფუძველზე, სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ბიუროს მიერ განხორციელდა აღნიშნულ არეალში მოქცეული უძრავი ქონებების შეფასება. ამ ეტაპზე, ფონდის მიერ კანონმდებლობის მოთხოვნათა შესაბამისად, მიმდინარეობს უძრავი ქონებების კერძო მესაკუთრეებისგან გამოსყიდვის პროცედურები.

პატივისცემით,

რევაზ სოხაძე

მინისტრი